ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6963762

ნომერი: AR11025726

თარიღი : 25.03.2024

გაცემის თარიღი : 02.04.2024

გაცნობის თარიღი : 03.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბაგრატ III ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024

წლის 25 მარტის №AR11025726 განცხადებით მომართა ივანე მირცხულავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებით, №01.10.07.007.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 13 მარტიდან 2024 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 22 მარტის №6946715 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა: 6486.96 კვ.მ, კომერციულ ფართობად: 693.6 კვ.მ, საზაფხულო ფართობად: 1022.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 892.5 კვ.მ, დამხმარე ფართობად: 60.3 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობად: 1848.6 კვ.მ, საერთო ფართობად: 11004.56 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2024 წლის 14 მარტის №AR11023356 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში ატვირთული გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 6486.96 კვ.მ-ის ნაცვლად 6428.4 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი 1848.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1872.1 კვ.მ, საერთო ფართობი 11004.56 კვ.მ-ის ნაცვლად 10969.5 კვ.მ, შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 6428.4 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად: 1872.1 კვ.მ, საერთო ფართობად: 10969.5 კვ.მ,
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2024 წლის 22 მარტის №6946715 ბრძანებით ჩანაცვლებული) გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში ატვირთული გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 13 მარტის №6931303 და 2024 წლის 22 მარტის №6946715 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.